



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



03.03.2014

№ 8

სარჩევი

საქართველო.....	3
კონფერენცია თემაზე „ხუდონჰესი და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები“	3
რეგიონი	5
BP: წელს აზერი-ჩირაგ-გუნეშლის პროექტში 2 მლრდ. აშშ დოლარის ინვესტირება მოხდება.....	5
თურქეთის ენერჯოსექტორი უკრაინაში პოლიტიკურ კრიზისს თვალს ადევნებს.....	6
Gazprom-ის მმართველმა სომხური შვილობილი კომპანია შეამოწმა.....	7
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები	9
რუსეთი აზერბაიჯანს ნავთობს 20%-იანი ფასდაკლებით გადაუზიდავს	9
RusHydro 10 მლრდ. აშშ დოლარის საინვესტიციო გეგმას აქვეყნებს	10
ყაზახეთი BTC-ის საშუალებით „ტენგიზის“ ნავთობის ექსპორტის გეგმაზე საუბრობს ..	11
ევროკავშირი	12
ნორვეგიამ ნავთობის მარაგების 4%-ით ზრდა დააანონსა	12
მონტენეგროს TSO იტალიასთან ზღვისქვეშა გადამცემ ქსელს დააფინანსებს	13
საბერძნეთი Gazprom-თან გაზის მიწოდების ხელშეკრულებას 10 წლით აგრძელებს	14
მსოფლიო.....	14
მსოფლიოს უდიდესი მზის ელექტროსადგურები	14
უკრაინის კრიზისი ნავთობისა და გაზის ფასებზე მოქმედებს.....	16
ინდოეთი მსოფლიოში უდიდესი მზის ელექტროსადგურის აშენებას გეგმავს.....	17
ანალიტიკა	18
ისრაელის ბუნებრივი აირის მარაგები იცვლება - ახლო აღმოსავლეთის დინამიკა.....	18

კონფერენცია თემაზე „ხუდონჰესი და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები“

ოთხშაბათს, 26 თებერვალს, 12:00 საათზე, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ხუდონჰესი და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები.“

ღონისძიება გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივისა“ და „სამხედრო-ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ ორგანიზებით.



ღონისძიებას დაესწრნენ წარმომადგენლები თავდაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის სამინისტროებიდან, პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტიდან და ასევე, უსაფრთხოებისა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოებიდან.

კონფერენციას ასევე დაესწრნენ დარგის ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„ქვეყნის უსაფრთხოება დამოკიდებულია არა მხოლოდ თავდაცვის შესაძლებლობის განვითარებაზე, არამედ ეკონომიკური და ენერჯეტიკული უსაფრთხოების მყარ ბაზაზე. ამიტომ, მხარს ვუჭერთ მსხვილ ეკონომიკურ პროექტებს. ამ კონტექსტში განვიხილავთ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და მივიჩნევთ მას მნიშვნელოვან მოვლენად ქვეყნის ენერჯოდამოუკიდებლობისათვის, შესაბამისად ენერჯოუსაფრთხოების მნიშვნელოვან ფაქტორად,“ - განაცხადა დღეს გამართულ კონფერენციაზე სამხედრო ანალიტიკური კვლევის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი თავდგირიძემ.

გიორგი თავდგირიძის განცხადებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა პირდაპირ კორელაციაშია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალთან და აქედან გამომდინარე, ხუდონი

პირდაპირ (საგადასახადო ბაზის გაზრდა) და ირიბად (ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო ენერჯია) ხელს შეუწყობს ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო ფინანსური რესურსის ზრდას.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში დეკლარირებული მიზნების მისაღწევად უდავოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური მეგაპროექტები, ისეთი როგორცაა ხუდონის ჰიდროელექტროსადგური, ანაკლიის საზღვაო ნავსადგური, „მაკ დენიზის“ პროექტის მეორე ფაზის დაწყება და ა.შ. ასეთი პროექტები უდიდეს გავლენას ახდენენ ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტსა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან საგარეო გარანტიებზე. ამის ნათელი მაგალითია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, რომლის პარალელურად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააფინანსა „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა,“ რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა (შედარებისთვის, საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 2000-2003 წლებში არ აღემატებოდა 40 მილიონ ლარს, ხოლო „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამისათვის“ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 150 მილიონ ლარამდე გამოყო)“ - განაცხადა გიორგი თავდგირიძემ.

„საქართველოში ჰიდროენერჯის გენერაციის სტრუქტურას რომ გადავხედოთ, წარმოებული ენერჯის 44% მოდის მხოლოდ ენგურჯესზე. ერთ ობიექტზე მსგავსი მასშტაბის დამოკიდებულება საფრთხის შემცველია ბევრი რისკფაქტორის გამო, ამიტომ აუცილებელია გენერაციის დივერსიფიცირება. უნდა დაიწყოს მსხვილი, საშუალო და მცირე ჰესების მშენებლობა, რათა გენერაციის სექტორი იყოს ეფექტური. გარდა ამისა, ენგურჯესის ნაწილი არის ოკუპირებული აფხაზეთის ნაწილზე. მართალია, დღეს ეს პროცესი დარეგულირებულია, მაგრამ რისკები არსებობს და საჭიროა მისი ალტერნატივების არსებობა“ - განაცხადა დღეს გამართულ კონფერენციაზე ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლეჟინაძემ.

ზემოაღნიშნული საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე აუცილებელია გრძელვადიანი ენერგეტიკული სტრატეგია, სადაც წამყვანი საკითხი იქნება ჰიდრორესურსების პოტენციალის ეფექტური ათვისება, ალტერნატივების შესწავლა, მდინარეების სიმძლავრეების შესწავლა და საინვესტიციო პროექტების შესაბამისად მომზადება.


„ამ გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია ხუდონის მშენებლობა, რომლის შეფერხებაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ახალი სიმძლავრეების ათვისებას. ხუდონის შენება ნიშნავს მომავალში გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ტარიფების ზრდისაგან თავის დაზღვევას, გაზრდილ საექსპორტო პოტენციალს, 1.2 მლრდ. აშშ დოლარიან ინვესტიციას და კიდევ უფრო გაზრდილ ინტერესს ადგილობრივი

ენერგოსექტორში ინვესტირების მიმართულებით. ეს ნიშნავს დასაქმების მაჩვენებლის ზრდასა და სვანეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ასევე გაზრდილ შემოსავლებს ბიუჯეტში. რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას,“ - განაცხადა ირაკლი ლექვიანიძემ.¹

რეგიონი

BP: წელს აზერი-ჩირაგ-გუნეშლის პროექტში 2 მლრდ. აშშ დოლარის ინვესტირება მოხდება

Reuters-ის ცნობით, BP-ის პრეზიდენტმა აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის რეგიონში გორდონ ბირელმა განაცხადა, რომ აზერი-ჩირაგ-გუნეშლის ოფშორული საბადოების განვითარების კონსორციუმში 2014 წელს პროექტის განვითარებაში 2 მლრდ. აშშ დოლარამდე ინვესტიციას განახორციელებს.



„აზერი-ჩირაგ-გუნეშლის პროექტზე 2014 წელს დაახლოებით 2 მლრდ. აშშ დოლარს დავხარჯავთ, რაც ინვესტიციის შარშანდელ მოცულობაზე ოდნავ ნაკლებია,“ - აცხადებს ბირელი.

მისი განცხადებით, წლევანდელი ინვესტიცია საბადოზე 19 ახალი ჭაბურღილის გაბურღვას მოხმარდება.

აზერი-ჩირაგ-გუნეშლის პროექტის პროდუქციის განაწილების ხელშეკრულებას ხელი 1994 წლის სექტემბერში მოეწერა. შეთანხმება 30 წლის ვადით გაფორმდა.

¹ <http://sipi.ge/khudon-conference/>

აზერი-ჩირაგ-გუნემლის საბადოების განვითარების პროექტის მეწილეები არიან: BP (ოპერატორი) – 35,78%, Chevron-ი - 11,27%, Inpex-- - 10,96%, AzACG – 11.65%, Statoil – 8.56%, Exxon-ი – 8%, TPAo – 6.75%, Itochu – 4.3% და ONGC – 2.72%.

BP-ის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს კონსორციუმის საოპერაციო ხარჯი 772 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო კაპიტალური ხარჯი 2.833 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენდა.

ACG კონსორციუმმა ჩირაგის, ცენტრალური აზერის, დასავლეთ აზერის, აღმოსავლეთ აზერისა და ღრმა წყალში არსებული გუნემლის პლატფორმებიდან 2013 წელს დღიურად საშუალოდ 655 370 ბარელი, ანუ მთელი წლის განმავლობაში 239 მლნ. ბარელი ნავთობი მოიპოვა. 2012 წლის საშუალო დღიური მოპოვება კი 664 400 ბარელს შეადგენდა.

ბირელის განცხადებით, ცენტრალური აზერისა და დასავლეთ აზერის პლატფორმებზე სარემონტო სამუშაოების დროს რამდენიმე კვირით ოპერირების შეწყვეტის გამო 2014 წელს მოპოვება მკვეთრად დაეცემა. მას სარემონტო სამუშაოების ზუსტი დრო არ დაუკონკრეტებია.

„იმის გამო, რომ სარემონტო სამუშაოების დროს ზოგიერთი პლატფორმა დროებით უნდა დავხუროთ, 2014 წელს მოპოვება მკვეთრად შემცირდება“ - განაცხადა ბირელმა და იქვე დაამატა, რომ ოპერირების შეჩერების შესახებ SOCAR-მაც და აზერბაიჯანის მთავრობამაც იცოდნენ, ასე რომ ეს სიურპრიზს არ წარმოადგენს.²

თურქეთის ენერგოსექტორი უკრაინაში პოლიტიკურ კრიზისს თვალს ადევნებს

როგორც World Bulletin-ი იუწყება, თურქეთის ენერგეტიკული სექტორი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის პოტენციური შედეგების კუთხით, თვალს ადევნებს.

„ჩვენ არ გვაქვს რაიმე პრობლემა უკრაინაზე გამავალ რუსულ ბუნებრივ აირთან დაკავშირებით“, - აღნიშნა თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა ტანერ ილდიზმა. „რადგან ეს არ არის რუსეთ-უკრაინის პრობლემა, ეს საერთაშორისო საკითხია“.

ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის ინვესტიციების ექსპერტმა ჩენგიზ გუნემმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ უკრაინიდან გაზის ნაკადს ხელს არ შეუშის რუსეთის მხრიდან შესაძლო ჩარევა. „შეიძლება ბუნებრივი აირის მოწოდება დროებით შეფერხდეს, თუმცა ეს გადაჭრადი იქნება. გარდა ამისა, გაზის ფასები განსაზღვრულია საერთაშორისო

² <http://pda.trend.az/en/2246532.html>

შეთანხმებებით. ამგვარად, ბუნებრივ აირზე ფასის შეცვლაც ნაკლებ სავარაუდოა“, - აღნიშნა გუნემმა.

გუნემის კომენტარის თანახმად, თუ უკრაინა ევროკავშირში გაწევრიანდება, ის გახდება ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წევრიც და ამ შემთხვევაში აშშ შეძლებს უკრაინას ფინანსური დახმარება გაუწიოს. „თუმცა რუსეთმა ღიად განაცხადა, რომ უკრაინა მისი გავლენის სფეროში იმყოფება. ამიტომ რუსეთი შეეცდება თავისი საკუთარი ბუნებრივი აირის გაყიდვის გარანტირებას“, - დასძინა მან.



მეორეს მხრივ, კასპიის სტრატეგიისა და ეკონომიკის ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის ექსპერტი ჩემილ ერტემი თვლის, რომ რუსეთის შესაძლო ინტერვენცია უკრაინაში ბუნებრივი აირის ფასს გაზრდის.

„შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რუსეთის უკრაინის საქმეებში ჩარევა დიპლომატიური იქნება თუ სამხედრო“, - აღნიშნა ერტემმა. „ამის მიუხედავად რუსეთი შეეცდება სიტუაცია თავის სასარგებლოდ შეაბრუნოს და ბუნებრივ აირზე ფასების გაზრდაზე წავიდეს“.

რუსეთი თურქეთისათვის გაზის უდიდესი მიმწოდებელია, აწვდის რა ყოველწლიური 45.2 მილიარდი კუბური მეტრიდან ნახევარს რუსული Gazprom-ის საშუალებით. რუსეთისგან შესყიდული გაზი თურქეთში ორი დამოუკიდებელი მილსადენით შედის, ერთ-ერთი მათგანია დასავლური ნაკადის მილსადენი, რომელიც უკრაინაზე გადის.³

Gazprom-ის მმართველმა სომხური შვილობილი კომპანია შეამოწმა

მას შემდეგ, რაც Gazprom-მა სომხეთის ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო ქსელზე მონოპოლია მოიპოვა, რუსული კომპანიის მმართველი ალექსი მილერი სომხეთს ეწვია და შვილობილ კომპანიას ამბიციური მიზნები დაუწესა.

მილერი თავის ორ მოადგილესთან ერთად, მას შემდეგ რაც Gazprom-მა სომხეთთან სადავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელიც სომხეთის ენერგეტიკულ სექტორში რუსეთის მდგომარეობას ამყარებს, პირველად შეხვდა ArmRosGazprom-ის (ARG) ქსელის მენეჯმენტს. Gazprom-ის მმართველი სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანსაც შეხვდა.

³ <http://pda.trend.az/en/2246408.html>

აღსანიშნავია, რომ სომხეთმა ხსენებული შეთანხმების საფუძველზე Gazprom-ს ARG-ის დარჩენილი 20% დაუთმო. წილის გადაცემის ხელშეკრულება 2014 წლის 16 იანვარს მოხდა და მას ხელი ალექსი მილერმა და სომხეთის ენერჯეტიკის მინისტრმა არმენ მოვსისიანმა მოაწერეს. შეთანხმებამდე Gazprom-ი უკვე ფლობდა იმ კომპანიის 80%-ს, რომელსაც სრულ მფლობელობაში მიღების შემდეგ Gazprom Armenia დაარქვა.

კომპანიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, მილერმა ერევანში შეხვედრის დროს განაცხადა, რომ რუსული გიგანტი სომხური შვილობილი კომპანიის



ეფექტურობის გაზრდას გეგმავს და მისთვის დაწესებული მიზნები და ამოცანები ამბიციური იქნება.

მილერმა აღნიშნა, რომ კომპანიამ „კოლოსალურ პროგრესს“ მიაღწია გაზიფიცირებაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალური

სადისტრიბუციო სისტემა მალევე განადგურდა. შეხვედრაზე მილერი ამტკიცებდა, რომ დღესდღეობით სომხეთში ოჯახების 96% გაზიფიცირებულია და ეს დიდი პროგრესია 2002 წლის 21%-თან შედარებით. Kremlin insider-ის ცნობით, მილერმა განაცხადა, რომ გაზიფიცირების ასეთი მაღალი დონე რუსეთის ფედერაციის ბევრ რეგიონს შემშურდებოდა.

შეხვედრაზე, რომელსაც Gazprom-ის მმართველი უძღვებოდა, ძირითადად სომხური სადისტრიბუციო ქსელის Gazprom Group-თან ინტეგრაციისა და მომავალი წლების განმავლობაში მისი საქმიანობის საკითხი განიხილეს.

ოფიციალური მონაცემებით, რუსული ბუნებრივი აირის მიწოდება გასულ წელს პრაქტიკულად არ შეცვლილა და თითქმის 2 მლრდ. კუბ.მ იყო. ამ მოცულობიდან მოხმარების ძირითადი წილი ოჯახებზე, თბოელექტროსადგურებსა და გათხევადებულ ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილებზე მოდის.

შედარებისთვის, სომხეთმა მეზობელი ირანიდან 500 მლნ. კუბ.მ.-მდე ბუნებრივი აირის იმპორტი განახორციელა. მთელი სომხეთის ტერიტორიაზე ირანული ბუნებრივი აირის გატარება Gazprom-ის შვილობილმა კომპანიამ განახორციელა.

Gazprom Armenia ასევე ფლობს ცენტრალური სომხეთის ქალაქ ჰრაზდანში ცოტა ხნის წინ დასრულებულ თბოელექტროსადგურს. მილერმა პირადად გახსნა ეს

ელექტროსადგური 2013 წლის დეკემბერში სომხეთში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სახელმწიფო ვიზიტის დროს.⁴

რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

რუსეთი აზერბაიჯანს ნავთობს 20%-იანი ფასდაკლებით გადაუზიდავს

რუსეთმა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია SOCAR-ს ნავთობის გადაზიდვებზე სატრანზიტო მოსაკრებელი 20%-ით შეუმცირა.

შეთანხმების მიხედვით, რომელსაც აზერბაიჯანულმა მხარემ კომპანია Transneft-თან მიაღწია, ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით აზერბაიჯანი ერთი ტონა საწვავის ტრანსპორტირებაზე 559 რუბლის მაგივრად, 453.95 რუბლს გადაიხდის.



აღრე Transneft-ი SOCAR-ს ტარიფის დივერსიფიცირებას სთავაზობდა. კერძოდ, მოსაკრებლის მოცულობა 1.5 მილიონი ტონის გატარებაზე 720 რუბლი უნდა ყოფილიყო, 1.8 მილიონი ტონიდან - 700 რუბლი, ხოლო 5 მილიონი ტონიდან - 400 რუბლი. თუმცა, საბოლოო ჯამში, SOCAR-ი ირწმუნება, რომ რუსეთის გავლით წელიწადში მაინც მხოლოდ 1-1.5 მილიონ ტონა ნავთობს გადაზიდავს, ტარიფი კი მინიმალური მიიღო.

„ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით საწვავის გადაზიდვა აზერბაიჯანის ინტერესებს შეესაბამება და მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციას

⁴ <http://www.azatutyun.am/content/article/25278388.html>

ითვალისწინებს,“ - განუცხადა ჟურნალისტებს აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა ნატიგ ალიევმა.

მისი თქმით, ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით SOCAR-ის და ქვეყანაში მოქმედი სხვა კომპანიების მიერ მოპოვებული საწვავი გადაიზიდება. რაც შეეხება ძირითად მარშრუტებს, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-სუფსას“ მილსადენებს, ისინი აზერი-ჩირაგ-გუნეშლის ნავთობსაბადოდან მოპოვებული ნედლეულით შეივსება.

„რა თქმა უნდა, აზერბაიჯანს შეეძლო, ამ მარშრუტის გარეშეც ეარსება, მაგრამ მისი შენარჩუნება მნიშვნელოვანია საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ეს აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს, პირდაპირი გასასვლელი ჰქონდეს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებთან, გარდა ამისა, სათადარიგო გზის არსებობა აუცილებელია. ეს კარგად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოში, როცა ომის გამო საქართველოში ორივე მილსადენით ნავთობის გადაზიდვა შეჩერდა და აზერბაიჯანმა ბაქო-ნოვოროსიისკის მარშრუტით ისარგებლა,“ - განაცხადა ნავთობის კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ილხამ შაბანმა.

აღსანიშნავია, რომ SOCAR-ი ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენის ოპერატორად 2008 წლიდან ირიცხება. შარშან მეზობელ ქვეყანაში ჩრდილოეთ ნავთობსადენით 1.75 მილიონი ტონა ნავთობი გადაზიდდა, ანუ 15%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით.

რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს, მისი მეშვეობით SOCAR-მა გასული წლის განმავლობაში 29.7 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება განახორციელა.⁵

RusHydro 10 მლრდ. აშშ დოლარის საინვესტიციო გეგმას აქვეყნებს

კომპანია RusHydro-ს დირექტორთა საბჭომ 2014-2018 წლების საშუალოვადიანი საინვესტიციო გეგმა დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც 10 მლრდ. აშშ დოლარის დახარჯვა იგეგმება. საქმიანობების ძირითადი მიმართულება კომპანიის მფლობელობაში არსებული აქტივების მოდერნიზებასა და განახლებას გულისხმობს, რისთვისაც ჯამში 6.5 მლრდ. აშშ დოლარია გამოყოფილი. მოდერნიზების პროექტები განკუთვნილია იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კომპანიის გენერაციის ობიექტების უსაფრთხოება და ეფექტიანობა.



⁵ http://bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=22831%3A---20---&catid=938%3A2011-11-06-17-41-31&Itemid=123&lang=ka

პრიორიტეტული პროექტების რიცხვშია რუსეთის შორეულ ადმოსავლეთში რამდენიმე თბოსადგურის განვითარება: „ბლაგოვეშენსკის“ თბოსადგური, „სახალინის თბოსადგური-2“-ის 120 მგვტ. სიმძლავრის ტურბინის პირველი ეტაპი, 120 მგვტ. სიმძლავრის „სოვეტსკაია გავანისა“ და „იაკუტიას თბოსადგური-2“-ის 180 მგვტ. სიმძლავრის ტურბინის პირველი ეტაპი.

RusHydro ასევე გეგმავ 1.57 მლრდ. აშშ დოლარის დახარჯვას თანამედროვე გენერაციის ობიექტების აშენებაზე: Nizhne-Bureiskaya-ს, Gotsatlinskaya-ს, Zelenchukskaya-ს, Ust-Srednekanskaya-ს და Boguchanskaya-ს ჰესები. შედეგად კომპანიის ჯამური დადგმული სიმძლავრე 2 641 მგვტ-ით გაიზრდება. კომპანია ასევე გეგმავს 76 მლნ. აშშ დოლარი კვლევით-განვითარებით პროექტებში დახარჯოს.

2012 წელს რუსეთის მთავრობამ RusHydro-ს კაპიტალი 1.4 მლრდ. აშშ დოლარით გაზარდა. ახალი დაფინანსება გათვალისწინებული იყო: „ბლაგოვეშენსკის“ თბოსადგურის, „სახალინის თბოსადგური-2“-ის, „სოვეტსკაია გავანისა“ და „იაკუტიას თბოსადგური-2“-ის პროექტების განსახორციელებლად.⁶

ყაზახეთი BTC-ის საშუალებით „ტენგიზის“ ნავთობის ექსპორტის გეგმაზე საუბრობს

აზერბაიჯანში ყაზახეთის ელჩმა ამანგელდი ჯუმაევიმ განაცხადა, რომ ყაზახეთი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით დღეში 90 000 ბარელი ნავთობის ექსპორტირებას გეგმავს. დიპლომატის ცნობით, შეთანხმება ყაზახეთის „ტენგიზის“



საბადოსთან გაფორმდა. ამანგელდს არ დაუზუსტებია, ამჟამად მიმდინარეობს თუ არა აღნიშნული ნავთობის ექსპორტი BTC-ის მეშვეობით და თუ მიმდინარეობს, რა მოცულობით. აზერბაიჯანული მხრიდან, კომპანია SOCAR-მა განაცხადა, რომ აღნიშნული ნავთობსადენით ჯერ-ჯერობით ყოველდღიურად 50 000 – 60 000 ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება ხდება. გასული წლის ოქტომბერში ყაზახეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, ყაზახური ნავთობის 3 წლის განმავლობაში BTC-ის ქსელში გატარებაზე.

⁶NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 702, 26 February 2014, RusHydro releases US\$10 billion investment blueprint

2013 წლის ბოლოს ყაზახეთმა განაცხადა, რომ ყოველდღიურად აზერბაიჯანისთვის 80 000 ბარელი ნავთობის მომზადებას უზრუნველყოფდა კასპის ზღვის აკტაუს პორტში, რომელსაც ამ ეტაპზე ანახლებენ და აფართოვებენ.

„ტენგიზის“ საბადოს ოპერატორია TengizChevroil-ის (TCO) კონსორციუმი, სადაც პროექტის წილის 50%-ს Chevron-ი ფლობს, ExxonMobil-ი - 25%-ს, KMG – 20%-ს, ხოლო Lukoil-ი დანარჩენ 5%-ს.⁷

ევროკავშირი

ნორვეგიამ ნავთობის მარაგების 4%-ით ზრდა დააანონსა

„ნორვეგიის ნავთობის დირექტორატმა“ (NPD) ნორვეგიის ოფშორულ ზონაში მოპოვებადი რესურსების რეზერვების 4%-ით ზრდის შესახებ განცხადება გააკეთა, ანუ რეზერვები ჯამში 14.2 მლრდ.კუბ.მ. ნავთობის ექვივალენტს მიაღწევს. რეზერვების ზრდა განპირობებულია ბარენცის ზღვაში ახალი რეგიონების აღმოჩენით. ბოლო შეფასებასთან შედარებით, რომელიც 2013 წლის 31 დეკემბერს ჩატარდა, მარაგები 13.6 მლრდ.კუბ.მ ნავთობის ექვივალენტი იყო და ზემოთ აღნიშნული ზრდის მაჩვენებელი (4.2%), შესაძლოა, დაზუსტების შემდეგ უფრო მაღალ ნიშნულზე ავიდეს. მარაგების სავარაუდო მატება 1.5-4.8 მლრდ.კუბ.მ-ს შორის მერყეობს.

ნორვეგია მსოფლიოს 10 უდიდეს ნავთობ მწარმოებელ ქვეყანას შორისაა და ევროპაში რუსეთის შემდეგ ბუნებრივი აირის მეორე უდიდესი მიმწოდებელი ქვეყანაა. ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც რამდენიმე მოქმედ საბადოზე რესურსები ამოიწურა, ნორვეგიაში რამდენიმე დიდი საბადო აღმოაჩინეს. მათ შორისაა იოჰან სვერდრუპის ნავთობის აღმოჩენა, რომელიც 2019 წელს დაიწყებს ოპერირებას და სავარაუდო დღიური წარმოება 550 000 – 650 000 ბარელი იქნება.

ნორვეგიის კონტინენტურ შელფში ახალი აღმოჩენების 60% ბარენცის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ არქტიკული წყლების რეგიონსა და ნორვეგიის შელფის იან მაიენის რეგიონზე მოდის. დირექტორატის განცხადებით, რესურსების ზრდა ბოლო შეფასებით (102 მლნ.კუბ.მ. ნავთობის ექვივალენტი) შედარებით დაბალია, ვიდრე წინა შეფასებისას იყო (344 მლნ.კუბ.მ). ამის მიზეზი კი ძირითადად არის ის, რომ საბადოების განვითარებაზე გადაწყვეტილება მხოლოდ 4 ახალი მცირე საბადოს აღმოჩენაზე გავრცელდა.

⁷ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 702, 26 February 2014, Kazakh diplomat reports on plan to export Tengiz crude via BTC

2013 წელს 215 მლნ.კუბ.მ. ნავთობის ექვივალენტი გაიყიდა, რამაც წმინდა რეზერვები 113 მლნ.კუბ.მ-ით შეამცირა.

2013 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ჯეტის, ჰიმეს, სკარვის და სკულდის საბადოები. ამავე წელს დაიხურა გლიტნესა და იტერგრიტას საბადო. მიმდინარე გეგმების მიხედვით 2014 წელს ბრინჰილდის, ბოილას, ფრამ ნორდის, გოლიატის, გუდრუნის, კნარის, სვალინისა და ვალემონის საბადოები დაიწყებენ ოპერირებას.⁸

მონტენეგროს TSO იტალიასთან ზღვისქვეა გადამცემ ქსელს დააფინანსებს

მონტენეგროს გადაცემის სისტემის ოპერატორი Crnogorski Elektroprenosni Sistem-ი (CGES) 2014 წლის მანძილზე 20 მილიონი ევროს ინვესტირებას გეგმავს იტალიასთან დამაკავშირებელი ზღვისქვეა გადამცემი ქსელის მშენებლობაში. CGES-ის აღმასრულებლის ივან ბლატოვიჩის ცნობით, ეს თანხა პროექტის მთლიანი ღირებულების დაახლოებით 20%-ს შეადგენს, რომლის მთლიანი ღირებულება 105 მილიონ ევროდ არის შეფასებული. სესხით უზრუნველყოფა EBRD-სა და KfW-ს მეშვეობით მოხდება.



CGES-ის ინვესტიცია აღნიშნულ პროექტში გაყოფილია სამ ნაწილად. 2014 წელს დაგეგმილია 4.3 მლნ. ევროს დახარჯვა, ხოლო 2015 წელს 4.4 მლნ.ევრო დაიხარჯება 400/110/35 კვ.-იანი და ორი 300 კვ.-იანი Lastva-ს ქვესადგურის მშენებლობაში. კომპანია ასევე გეგმავს 2014 წელს 5.5 მილიონი ევროსა და 2015 წელს 7 მილიონი ევროს ინვესტირებას Lastva-Cevo-ს 400 კვ.-იანი ორი გადამცემი ხაზის მშენებლობაში. საბოლოოდ მიმდინარე წელს 10 მლნ. ევრო, ხოლო მომავალ წელს 12 მლნ. ევრო დაიხარჯება Cevo-Pljevlja-ს 400 კვ.-იანი ქსელის განვითარებაზე.

მონტენეგრომ და იტალიამ 415 კმ. სიგრძის დამაკავშირებელი ხაზის მშენებლობაზე შეთანხმებას 2010 წლის ნოემბერში მოაწერეს ხელი. იტალიური პარტნიორი Terna არის პროექტის ძირითადი ოპერატორი, რომელიც კომპანია CGES-ის 22% წილის მფლობელიცაა.⁹

⁸ <http://www.platts.com/latest-news/oil/london/norway-announces-4-rise-in-oil-gas-resource-estimates-26745224>

⁹ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 702, 26 February 2014, Montenegrin TSO to invest in subsea cable to Italy

საბერძნეთი Gazprom-თან გაზის მიწოდების ხელშეკრულებას 10 წლით აგრძელებს

საბერძნეთის ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებით, ქვეყნის ბუნებრივი გაზის დისტრიბუტორმა კომპანია DEPA-მ გაზის მიწოდების ახალი ხელშეკრულება გააფორმა რუსულ გიგანტ Gazprom-თან, რომელიც გასულ ივლისთან შედარებით ფასის 15%-იან შემცირებასაც ითვალისწინებს. ახალი შეთანხმება მიმდინარე კონტრაქტს 10 წლით, 2026 წლამდე ახანგრძლივებს.

რუსული კომპანია სახელმწიფო კომპანია DEPA-ს ყველაზე დიდი მიმწოდებელია. მხარეები მოლაპარაკებებს რამდენიმე თვის მანძილზე აწარმოებდნენ, სადაც ბერძნული მხარის ძირითადი მოთხოვნა ფასების 15%-20%-ით შემცირება იყო და წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟისთვის მიმართვა იგეგმებოდა.



ახალი შეთანხმება უფრო მოქნილ „აიდე, ან გადაიხადე“ ხელშეკრულებას უზრუნველყოფს ბერძნული მხარისთვის, რომელიც 2.5-3 მლრდ.კუბ.მ-მდე ბუნებრივ გაზს მიიღებს წლიურად. გაზის ახალი ფასი დაკავშირებულია ნავთობის ფასთან და ყოველ 1000 კუბ.მ-ზე 400 აშშ დოლარზე ნაკლები იქნება.

საბერძნეთს სურს ენერჯის ხარჯები შეამციროს ინდუსტრიული სექტორისათვის, რათა დაეხმაროს კომპანიებს ქვეყანაში ამჟამად არსებულ რეცესიულ სიტუაციაში, რომელმაც ქვეყნის უმუშევრობის დონე 28%-მდე აწია.¹⁰

მსოფლიო

მსოფლიოს უდიდესი მზის ელექტროსადგურები



ამ სტატიაში წარმოგიდგინთ მსოფლიოს უდიდესი მზის ელექტროსადგურების სიას. პირველი ჩამონათვალში ფოტოვოლტანური ტიპის სადგურებია შეყვანილი, მეორეში კი თერმული ტიპის მზის ელ.სადგურები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში მსოფლიოში მზის ენერჯის დადგმული სიმძლავრე საგრძნობლად გაიზარდა, სულ უფრო და უფრო მეტი

¹⁰ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=ecea7eca-691c-45f4-af92-2f37ef3e0300>

მზის სადგური შენდება, რომელთა დადგმული სიმძლავრე 100 მეგავატს აღემატება. მზის ენერჯის განსაკუთრებით სწრაფად ავითარებს შენობების სახურავებზე ფოტოვოლტანური პანელების დამონტაჟება. აღნიშნული ტექნოლოგიის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ საჭიროებს შორ მანძილებზე ენერჯის გადაცემას და ძვირადღირებული ელ. გადამცემი ხაზების მშენებლობას. სახურავებზე ფოტოვოლტანური პანალების დაყენება ხდება იქ სადაც ელ. ენერჯია ყველაზე მეტად და დიდი რაოდენობით არის საჭირო.

უდიდესი მზის ფოტოვოლტანური სადგურები:

1. “Gujarat Solar Park” ინდოეთი - 600 MW დასრულდა 2012 წელს.
2. “Topaz Solar Farm” აშშ - 550 MW (300 MW დასრულდა 2014 წლის იანვარში)
3. “Agua Caliente” აშშ - 251 MW (397 MW საბოლოო სიმძლავრე დასრულების შემდეგ)
4. “California Valley Solar Ranch” აშშ - 250 MW (დასრულდა 2013 წელს)
5. “Antelope Valley Solar Ranch” აშშ - 230 MW (დასრულდება 2014 წელს)
6. “Charanka Solar Park” ჩინეთი - 221 MW (დასრულდა 2012 წელს)
7. “Golmud Solar Park“ ჩინეთი - 200 MW (დასრულდა 2011 წელს)
8. “Imperial Solar Energy Center South” აშშ - 200 MW (დასრულდა 2013 წელს)
9. “Centinela Solar Energy Project” აშშ - 170 MW (დასრულდება 2014 წელს)
10. “Meuro Solar Park” გერმანია - 166 MW (დასრულდა 2012 წელს)
11. “Mesquite Solar I” აშშ - 150 MW (დასრულდა 2012 წელს)
12. “Copper Mountain Solar Facility” აშშ - 150 MW (დასრულდა 2013 წელს)
13. “Neuhardenberg Airport Solar Park” გერმანია - 145 MW (დასრულდა 2013 წელს)
14. “Catalina Solar Project” აშშ - 143 MW (დასრულდა 2013 წელს)
15. “Campo Verde Solar Project“ აშშ - 139 MW (დასრულდა 212 წელს)
16. “Templin Solar Park” გერმანია - 128 MW (დასრულდა 2012 წელს)
17. “Arlington Valley Solar II” აშშ - 127 MW (დასრულდა 2013 წელს)
18. “Centrale solaire de Toul-Rosières” საფრანგეთი - 115 MW (დასრულდა 2012 წელს)
19. “Perovo Solar Park” უკრაინა - 106 MW (დასრულდა 2011 წელს)
20. “Xitieshan Solar Park” ჩინეთი - 100 MW (დასრულდა 2011 წელს)
21. “Gansu Jiayuguan Solar Park” ჩინეთი - 100 MW (დასრულდა 2013 წელს)
22. “Ningxia Qingyang Solar Park” ჩინეთი - 100 MW (დასრულდა 2013 წელს)
23. “Sarnia Photovoltaic Power Plant” კანადა - 97 MW (დასრულდა 2010 წელს)

უდიდესი მზის თერმული სადგურები:

1. “Ivanpah Solar Electric Generating System” აშშ, მოკავეს უდაზნო კალიფორნია - 392 MW
2. “Solar Energy Generating Systems” აშშ, კალიფორნია - 354 MW
3. “Solana Generating Station” აშშ, არიზონა - 280 MW
4. “Solaben Solar Power Station” ესპანეთი - 200 MW
5. “Solnova Solar Power Station” ესპანეთი, სევილია - 150 MW
6. “Andasol Solar Power Station” ესპანეთი, გრანადა - 150 MW
7. “Extresol Solar Power Station” ესპანეთი - 150 MW
8. “Shams 1” აბუ დაბი, UAE - 100 MW
9. “Palma del Río Solar Power Station” ესპანეთი - 100 MW
10. “Manchasol Solar Power Station ესპანეთი - 100 MW
11. “Valle Solar Power Station ესპანეთი, სან ხოსე - 100 MW
12. “Helienergy Solar Power Station” ესპანეთი, ელჩე - 100 MW
13. “Aste Solar Power Station” ესპანეთი - 100 MW
14. “Solacor Solar Power Station” ესპანეთი - 100 MW
15. “Helios Solar Power Station” ესპანეთი - 100 MW
16. “Termosol Solar Power Station” ესპანეთი - 100 MW.¹¹

უკრაინის კრიზისი ნავთობისა და გაზის ფასებზე მოქმედებს

აშშ-ს ნავთობისა და გაზის ინდუსტრიულ დიდი ზეგავლენა აქვს უკრაინაში მიმდინარე პროცესებს, რადგანაც რუსეთიდან მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის მიწოდების შემცირების საფრთხემ ნავთობზე ფასები მკვეთრად გაზარდა.



აშშ-ში ერთი ბარელი

ნავთობის ფასი 2 აშშ დოლარით, 104.75 აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც უმაღლესი ფასია სექტემბრის შემდეგ. ანალიტიკოსების პროგნოზით, ომის შემთხვევაში ბარელი ნავთობის ფასი 120 აშშ დოლარამდე გაიზარდება, რადგან რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი

¹¹ http://energy.einnews.com/article/193142089/TrNiej_P-R3cLbi?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE

ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა. მათივე განცხადებით, ნავთობისა და გაზის ბაზრები ძალიან მგძნობიარენი არიან საომარი მოქმედებების დროს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ქვე ეხება რუსეთს, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ენერჯო გიგანტს.

2.8 პროცენტით გაიზარდა აშშ-ში გაზის ფასებიც. უკრაინისა და რუსეთის კონფლიქტი საფრთხეს უქმნის ევროპის ენერჯოუსაფრთხოებასაც, რადგან სამომავლო მოქმედებებმა შესაძლოა შეაფერხოს რუსული გაზის მიწოდება ევროპაში. ამჟამად ევროპაში მოხმარებული ბუნებრივი აირის მეოთხედი რუსეთიდან არის მიწოდებული, ხოლო ევროპას რუსული გაზის ნახევარი უკრაინის გავლით მიეწოდება. ომის შემთხვევაში ასევე განიხილება რუსული გაზის ამერიკული თხევადი ბუნებრივი აირით ჩანაცვლება.

რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბულობის ზრდა უკრაინას უბიძგებს დააჩქაროს ფიქალის გაზის მოპოვების პროცესი. ამჟამად უკრაინაში ფიქალის რესურსებზე ამერიკული კომპანია Chevron-ი მუშაობს. უკრაინას 2020 წლისთვის დაგეგმილი აქვს ფიქალის გაზის ექსპორტიორ ქვეყანად გადაიქცეს. მიმდინარე დაძაბულობის გათვალისწინებით შესაძლოა ეს თარიღი კიდევ უფრო გადმოიწიოს. ასევე სხვა ევროპული ქვეყნებიც დაიწყებენ ფიქალის რესურსის გამოყენების განხილვას, რათა უზრუნველყონ საკუთარი ენერჯოუსაფრთხოება.¹²

ინდოეთი მსოფლიოში უდიდესი მზის ელექტროსადგურის აშენებას გეგმავს

მას შემდეგ, რაც ინდოეთის მთავრობამ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 6 კომპანიასთან მიაღწია შეთანხმებას, ის მსოფლიოში ყველაზე მძლავრი მზის ელექტროსადგურის აშენებას გეგმავს.

4 გიგავატის სიმძლავრის პროექტი, რომელსაც ინდოეთის მთავრობა „ულტრა მეგა“ მზის სადგურის პროექტად აფასებს, სავარაუდოდ, 4.4 მლრდ. აშშ დოლარი დაჯდება.

მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ელექტროსადგური სამბჰარის ტბასთან ახლოს, რაჯასტანში აშენდება და ის თავისუფლად გაუწევს კონკურენციას 4 ბირთვულ რეაქტორს. პროექტი 2 ეტაპად განხორციელდება და მის დასრულებას 7 წელი დასჭირდება. პირველ ეტაპზე 1 გიგავატი სიმძლავრე, ხოლო მეორე ეტაპზე კი 3 გიგავატი სიმძლავრე შევა ექსპლუატაციაში.

¹² <http://energy.einnews.com/article/193286609/Ywt5evpcO9s60hWb?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE>

მზის ელექტროსადგურს ერთობლივი საწარმო დააფინანსებს, რომელშიც შემდეგი კომპანიები შედიან: Bharat Heavy Electricals-ი, Solar Energy Corporation of India, Hindustan Salts-ი, Powergrid-ი, Satluj Jal Vidyut Nigam-ი და Rajasthan Electronics and Instruments-ი.



ამ ექვს კომპანიასთან მემორანდუმს ხელი ინდოეთის მძიმე ინდუსტრიისა და საჯარო დაწესებულებების მინისტრმა შრი პრაფულ პატელმა მოაწერა.

წინასწარი მონაცემებით, 25 წლიანი ექსპლუატაციის განმავლობაში, მზის ელექტროსადგური წლიურად 6.4 მლრდ. კვტ.სთ. ელ.ენერგიას გამოიმუშავებს, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ინდოეთმა გარემოში ნახშირორჟანგის ემისია 4 მლნ. ტონით შემამციროს.

პროექტი ინდოეთის მთავრობის „მზის მისიის“ ინიციატივაში შედის, რომელიც მთავრობამ 2010 წელს მიიღო და რომელიც მიზნად ისახავს დეკადის ბოლომდე მზის ენერჯის დადგმული სიმძლავრის 20 გიგავატამდე გაზრდას.¹³

ანალიტიკა

ისრაელის ბუნებრივი აირის მარაგები იცვლება - ახლო აღმოსავლეთის დინამიკა


ისრაელში ბუნებრივი აირის ახალმა აღმოჩენებმა შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყანა მილიარდობით დოლარს დაზოგავს ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ ენერგიაზე უარის თქმის შედეგად. ასევე, ისრაელს შესაძლებლობა ექნება ჩამოყალიბდეს, როგორც ბუნებრივი

¹³[http://www.businessgreen.com/bg/news/2326943/india-maps-out-ultra-mega-solar-power-project;](http://www.businessgreen.com/bg/news/2326943/india-maps-out-ultra-mega-solar-power-project)
<http://www.nature.com/news/india-to-build-world-s-largest-solar-plant-1.14647>

აირს ახალი წყარო ევროპისთვის, რომელიც თავის მხრივ გასაღების ერთ-ერთი უდიდესი ბაზარია.

აშშ-ს გეოლოგიური სამსახურის კვლევის მიხედვით, ლევანტის აუზის ბუნებრივი აირის საბადო აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში, კვიპროსისა და ისრაელის ტერიტორიულ წყლებში მდებარეობს, რომლის რეზერვი 18.9 ტრილიონი კუბური ფუტია. ამერიკული კომპანია Noble Energy და ისრაელის Delek Group-ისა და Avner Oil-ის კონგლომერატი უზრუნველყოფენ საბადოს ექსპლუატაციას, რომელიც 2016 წელს გაიხსნება და დღეში 750 მილიონ კუბურ ფუტ ბუნებრივ აირს აწარმოებს.

ისრაელისთვის, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი ენერგორესურსი, ახალი



აღმოჩენები ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდება. ტამარის საბადო, რომელიც მიმდინარე წელს იხსნება და რომელიც ზემოთ ნახსენები ლევანტის მახლობლად მდებარეობს, შეუძლია ისრაელის შიდა მოთხოვნა 25 წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს, ხოლო ლევანტის საბადო შესაძლოა

მთლიანად საექსპორტო ბაზრისთვის დარჩეს. ისრაელის ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ რეზერვების ნახევარზე მეტი ისრაელის შიდა მოხმარებისთვის იქნება განკუთვნილი. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ისრაელმა მომავალში უფრო მეტი ექსპორტი უნდა განახორციელოს და ამით დამატებით 300 მლრდ. აშშ დოლარი მიიღოს, ზოგიც კი რესურსების შიდა მოხმარებას ემხრობა და მიიჩნევს, რომ ის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას უნდა მოხმარდეს და შთამომავლობას შეუნარჩუნდეს.

წინა თვეში ისრაელმა საბერძნეთთან და კვიპროსთან ენერგოთანამშრომლობის ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა, რომელიც ასევე ეხება ლევანტის საბადოს კვიპროსული ნაწილის ერთობლივ ექსპლოატაციასაც. ისრაელი ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს რეგიონის სხვა წარმომადგენლებთანაც, მათ შორის, თურქეთთან ევროპასთან დამაკავშირებელი მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისრაელიდან თურქეთის საპორტო ქალაქ ჯეიჰანამდე მანძილი 4-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე საბერძნეთამდე.

ქვეყნებს შორის შეთანხმებას თურქეთსა და კვიპროსს შორის არსებული დამაბული ვითარება ართულებს, რომელიც სათავეს 1974 წლიდან იღებს. საომარი დაპირისპირების შემდეგ, კვიპროსი ორ ნაწილად - ბერძნულ კვიპროსად და არაღიარებულ ჩრდილოეთ კვიპროსად გაიყო, რომელიც თურქეთის მოკავშირეა.

მიმდინარე წელს ანკარამ გააფრთხილა ისრაელი, რომ არ გაეფორმებინა შეთანხმება ბერძნულ კვიპროსთან და განაცხადა, რომ კვიპროსის რესურსები კუნძულზე მდებარე ორივე სახელმწიფოს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს. ასევე, ისრაელს აქვს უთანხმოება ლიბანთან საბადოს მახლობლად არსებულ ტერიტორიულ წყლებზე. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მხარეების მიერ, რათა დაჩქარდეს განვითარების პროცესი.

ექსპერტების აზრით, ისრაელმა უნდა იჩქაროს ბუნებრივი აირის გასაღების ბაზრის მოძიება, რადგან სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ავითრებს ფიქალის რესურსებს და იზრდება კონკურენცია. ასევე, თურქეთიც იწყებს სამძებრო სამუშაოებს ხმელთაშუა ზღვაში.¹⁴

¹⁴ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=291d3828-07c8-4785-96fd-2e69e0bdf210>